

**შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება #
ქ. გარდაბანი , 2018 წ**

**Procurement Contract
City of Gardabani, 2018**

ერთის მხრივ, შპს “გარდაბნის თბოსადგური” (შემდგომში – “შემსყიდველი”), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ლაშა მგელაძის სახით, და მეორეს მხრივ, [კომპანიის სახელი] (შემდგომში “მიმწოდებელი”) წარმოდგენილი ----- სახით,

On the one hand, LLC "GardabaniTPP" (hereinafter referred to as "Purchaser"), represented by Lasha Mgeladze, General Director, and on the other hand [Name of Company] (hereinafter "Supplier") -----

იმ გარემოებიდან გამომდინარე, 2018 წლის ----- გამოცხადდა და----- დასრულდა წინადადებების მიღება შესყიდვის ელექტრონულ პროცედურაზე (GEO-----) (შემდგომში - ტენდერი) გამარჯვებულად გამოცხადდა [კომპანიის სახელი] ფასით [00000000] ლარი დღგ-ს გარეშე, ვთანხმდებით შემდეგზე:

-- With face,
In accordance with the circumstances, in the electronic procurement procedure announced in accordance with 2018 February 16th government ordinance N85 GEO000000000 with the price of Lari excluding VAT was declared the winner, parties hereby agree with the following:

ხელშეკრულება ფორმდება აშშ დოლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2018 წლის (ელექტრონული ვაჭრობის დღისათვის) დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის (1 USD – 00000 ლარი) მიხედვით.

The agreement shall be executed in USD based on the National Bank of Georgias official exchange rate (1 USD – 000 GEL) on the [day] (electronic bidding day).

1. ხელშეკრულების საგანი

1. The subject of the contract

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია გაზის ტურბინის სათადარიგო ნაწილების (შემდგომში - საქონელი) სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.1. This Agreement is the procurement of spare Parts gas turbine (hereinafter - goods) in compliance with the provisions of this Contract .

1.2. საქონლის დასახელება, მახასიათებლები, რაოდენობა და ფასი ერთეულის მიხედვით მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ში (ფასების ცრილი), რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.2. The Goods names, characteristics, quantity and price of the goods are given in Annex No1 (the table of prices) of this Agreement, which is accompanied by an agreement and is an integral part thereof.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2. The rights and obligations of the Parties

2.1. “შემსყიდველი” უფლებამოსილია მოსთხოვოს “მიმწოდებელს” ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

2.1. "Purchaser" is authorized to request from the "Supplier" to perform the obligations undertaken by the Agreement.

2.2. “შემსყიდველი” ვალდებულია, უზრუნველყოს ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

2.2. "Purchaser" is obliged to provide settlement with the conditions under the contract;

2.3 “მიმწოდებელი” უფლებამოსილია, მოსთხოვოს “შემსყიდველს” ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

2.3 "Supplier" is entitled to request from the "Purchaser" to perform the obligations undertaken by the Agreement.

2.4. “მიმწოდებელი” ვალდებულია, მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი და მასთან დაკავშირებული აუცილებელი დოკუმენტაცია;

2.4. "Supplier" is obliged to provide the purchaser with the Goods free of any defects and with the necessary documents related to it;

3. საქონლის მიწოდების პირობები

3. Conditions of delivery of goods

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 000 კალენდარული დღის ვადაში, იმპორტის ტერმინალში DAT (incoterms 2010) პირობით;

3.1. The supplier is obliged to provide the supply of goods within 000 calendar days after the contract is signed. on the DAT port of import(incoterms 2010) terms;

3.2. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით (გარდა საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა სახის გადასახადის, მოსაკრებლის ჩათვლით, მათ შორის განბაჟების ხარჯების ჩათვლით).

3.2. The supplier provides the supply of goods at its own expense (excluding all types of taxes, including fees, including customs clearance expenditures as defined by the Georgian legislation within Georgian territory).

3.3. საქონლის განბაჟებამდე, შემსყიდველმა, მიმწოდებლის მიერ დასახელებულ საბაჟო ოფიცერს უნდა მისცეს უფლებამოსილება, რათა მან შეძლოს შემსყიდველის სახელით განახორციელოს საქონლის განბაჟება. (არარეზიდენტის შემთხვევაში).

3.3. Before the customs clearance of the goods, the procuring entity shall give the customs officer the supplier appointed by the supplier so that he can make the customs clearance of the goods on the behalf of the purchaser. (In case of non-resident).

3.4. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო ან ინსპექტირების ჯგუფის მიერ დაწუნებული საქონლის მიღებაზე.

3.4. The purchaser is entitled to refuse the goods if they are defective or deemed defective by the inspection team.

4. საქონლის ხარისხი

4. Quality of goods

4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ საქონლის ხარისხი შეესაბამება ხელშეკრულებით შეთანხმებულ ხარისხს და ტექნიკურ მაჩვენებლებს და საქონლისადმი დადგენილ სტანდარტებს.

4.2. მიწოდებულ საქონელთან ერთად უნდა იყოს წარმოდგენილი შესაბამისი მწარმოებლის მიერ გაცემული ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი, წინააღმდეგ შემთხვევაში საქონელი არ იქნება მიღებული.

5. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორება

5.1. საქონლის მთლიანი ღირებულება შეადგენს ----- აშშ დოლარს დღგ-ს გარეშე, (თუ ხელშეკრულების დადების მომენტისთვის მიმწოდებელი არის დღგ-ის გადასმდელი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემთხვევაში მას აუნაზღაურდება დღგ-ს განაკვეთი ----- (------).

5.2. ანგარიშსწორების განსახორციელებლად საჭირო დოკუმენტ(ებ)ი:

- სასაქონლო ზედნადები;
- საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (იხ. წინამდებარე ხელშეკრულების პუნქტი 5.1);

5.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წარმოებს, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქონლის სრულად მიწოდებიდან და 5.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტ(ებ)ის სრულად მიწოდებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

5.3.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქონლის სრულად მიწოდების შემდგომ.

- საქართველოს რეზიდენტი კომპანიის შემთხვევაში, ეროვნულ ვალუტაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით;

- არარეზიდენტი კომპანიის შემთხვევაში, დოლარში;

5.4. იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ მოითხოვს წინასწარ (საავანსო) ანგარიშსწორებას, „შემსყიდველი“ „მიმწოდებელს“ ავანსის სახით გადაუხდის წინამდებარე ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 20%-ისა (ოცი პროცენტი), მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლში მითითებული შესაბამისი საბანკო გარანტიის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

5.5. წინასწარ გადახდილი თანხის გაქვითვის მიზნით, „შემსყიდველი“ გადახდილი საავანსო თანხის მთელ მოცულობას გამოქვითავს „მიმწოდებლისათვის“ გადასახდელი თანხიდან.

5.6. ავანსის ანგარიშსწორების შემთხვევაში საქონლის ღირებულება ეროვნულ ვალუტაში გაანგარიშდება შემდგენიარად: - გადახდილი საავანსო თანხის მთელი მოცულობით გაქვითვამდე, საქონლის ღირებულება ეროვნულ ვალუტაში გაანგარიშდება ავანს(ებ)ის გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით;

- ავანსის სრულად გამოქვითვის შემდგომ, საქონლის ღირებულება ეროვნულ ვალუტაში გაანგარიშდება მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

6. ავანსის უზრუნველყოფის საბანკო გარანტია

6.1. „მიმწოდებელმა“ თანხის ავანსის სახით მიღების მიზნით „შემსყიდველს“ უნდა წარუდგინოს ავანსის ღირებულების უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია. აღნიშნული საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების

4.1 The supplier undertakes to ensure that the quality of goods is consistent with the agreed quality and technical indicators and the standards set forth in the contract.

4.2. The quality asserting document (s) issued by the respective manufacturer shall be presented together with the delivered goods, otherwise the goods will not be accepted.

5. Cost and settlement of the contract

5.1. The total value of the goods is ----- USD without VAT (if supplier is a supplier at the moment of concluding the VAT payer in accordance with the requirements of the Georgian legislation, in case of submission of the relevant tax invoice the VAT rate will be reimbursed --- (------)).

5.2. Document (s) required to carry out the settlement:

- Commercial Invoice;
- Tax invoice (see paragraph 5.1 above);

5.3. The settlement shall be conducted with the supplier, in the form of non-cash settlement, from the full delivery of goods and within 10 working days after fully submission of the document (s) provided in paragraph 5.2.

5.3.1. The settlement shall be made in the form of non-cash settlement, after the delivery of the goods fully.

- In case of resident company of Georgia, according to the official exchange rate with the GEL USD set by the National Bank of Georgia for the day of signing of the receipt of the acceptance-transfer act;

- in case of non-resident company, in the usd;

5.4. If the "Supplier" requires advance (prepayment) settlement, the Purchaser will be paid as an advance by 20% (twenty percent) of the total value of this Agreement,

Supplier by the buyer within 5 working days after submitting the relevant bank guarantee referred to in Article 6 of this Agreement.

5.5. For the purpose of disbursing the advance payment, the Purchaser deducts the entire amount of the paid amount from the amount payable to the "Supplier".

5.6. In case of advance payment, the value of the goods in the national currency shall be calculated as follows: - The cost of the goods in the national currency is calculated according to the official exchange rate of the lari USD fixed by the National Bank of Georgia for the transfer of advance amount;

- After the deduction of the advance, the value of the goods in the national currency shall be calculated in accordance with the official exchange rate with the lari USD set by the National Bank of Georgia at the time of the signing of the receipt.

6. Advance bank guarantee

6.1. The supplier shall submit to the procuring entity an unconditional and irrevocable bank guarantee of the value of the advance. The term of validity of the bank guarantee shall exceed the date of signature of the delivery of goods and the final acceptance-delivery act no less than 30 (thirty) calendar days. The guarantor organization shall be registered in Georgia and licensed

და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღს. გარანტია გაცემული უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან გაცემული ხელშეკრულების უზრუნველყოფის უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია გარანტია ასევე შეიძლება წარმოდგენილი იყოს არარეზიდენტი ბანკიდან, ასეთ შემთხვევაში გარანტიის გამცემი ბანკის რეიტინგი უნდა იყოს საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს “Fitch International“-ის არანაკლებ BB-, ან სხვა საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს S&P, Moody’s ექვივალენტური რეიტინგი და იგი უნდა იყოს დამოწმებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ.

6.2. ხელშეკრულების 6.1. პუნქტში აღნიშნული საბანკო გარანტია უნდა ითვალისწინებდეს ბანკის უპირობო ვალდებულებას „შემსყიდველის“ პირველივე მოთხოვნისთანავე საბანკო გარანტიის სრული ან ნაწილი თანხის ანაზღაურების თაობაზე.

6.3. „შემსყიდველი“ სავანსო საბანკო გარანტიას უბრუნებს „მიმწოდებელს“ მომსახურების სრულად მიწოდებიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

6.4. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია გამოიყენოს 6.1. პუნქტში მითითებული ავანსის საბანკო გარანტია იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობას ან ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას.

6.5. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია აინაზღაუროს აუთვისებელი ავანსი ავანსის უზრუნველყოფის საბანკო გარანტიიდან.

6.6. ავანსის უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენა უნდა მოხდეს შესყიდვის ელექტრონული პროცედურის დოკუმენტაციის დანართი №4.1 თანდართული ფორმით.

6.7. რეზიდენტი კომპანიის შემთხვევაში, ხელშეკრულებით უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული და ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლისათვის გადახდილი ავანსის დასაბრუნებელი /გამოუქვითავი/ ნაწილი ანაზღაურებულ /დაბრუნებულ/ უნდა იქნას შემსყიდველისათვის ქართულ ლარში, ბანკის მიერ გადარიცხვის დღისათვის დადგენილი სავალუტო კურსის მიხედვით. ამავე დროს, დასაბრუნებელი /გამოსაქვითი/ ავანსის თანხა არ უნდა იყოს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის ეროვნულ ვალუტაში გადარიცხული ავანსის მოცულობაზე ნაკლები. ამ პრინციპით გაანგარიშებული დასაბრუნებელი /გასაქვითი/ ავანსის გადარიცხულზე მეტობის შემთხვევაში, ნამატი თანხა სრულად დარჩება შემსყიდველს დამატებითი შემოსავლის სახით.

7. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებელმა შემსყიდველს ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარუდგინოს უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია. წინამდებარე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%(10%-ის ოდენობით. გარანტია გაცემული უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან გაცემული ხელშეკრულების უზრუნველყოფის უპირობო და გამოუთხოვადი საბანკო გარანტია. გარანტია ასევე შეიძლება წარმოდგენილი იყოს არარეზიდენტი ბანკიდან, ასეთ შემთხვევაში გარანტიის გამცემი

by National Bank of Georgia or by an insurance company registered by LEPL” insurance state supervision agency of Georgia”. contract performance guarantee shall be irrevocable. Guarantee also can be issued by non-resident bank, in which case the bank rating must be no lower than BB- according to “Fitch international” or of an equivalent rating issued by S&P, Moody’s and it must be confirmed by a licensed bank in Georgia.

6.2. Contract 6.1. The bank guarantee referred to in paragraph shall include the bank's unconditional obligation to pay the full or part of the bank guarantee upon the first request of the "Purchaser".

6.3. The "Purchaser" returns the prepaid bank guarantee to the supplier "within 30 calendar days from the complete delivery of the service and after the delivery of the Acceptance Act.

6.4. "Purchasing" is entitled to use 6.1. The Bank's guarantee of an advance referred to in paragraph if the "Supplier" breaches the terms of this Agreement or fails to ensure the proper implementation of the obligations under this Agreement.

6.5. In case of termination of the contract, the "Purchaser" is entitled to reimburse the unpaid advance from the bank guarantee of the advance.

6.6. The bank guarantee of advance payment must be presented in the enclosed form (Annex No.4.2)

6.7. In case of a resident company, the refund / reimbursement / reimbursement / reimbursement / payment paid to the supplier in foreign currency in the currency of the national currency shall be paid to the buyer in Georgian Lari according to the currency rate set by the Bank on the date of transfers. At the same time, the amount of refunds / cash advance / advance payments shall not be less than the amount of the advance payments made by the buyer to the supplier in the national currency. In case of overdrawing / withdrawal / advance transaction calculated on this principle, the sum will be fully recovered by the buyer in additional income.

7. Performance Bank guarantee

7.1. In order to ensure fulfillment of this Agreement, the supplier shall submit to the Purchaser an unconditional and irrevocable bank guarantee before signing the agreement. The guarantor shall be issued by the Bank registered in Georgia (if the guarantee is issued by the registered bank in a foreign country, the guarantee shall be certified by the registered bank in Georgia) in the amount of 5% (10%) of this Agreement. The guarantor organization shall be registered in Georgia and licensed by National Bank of Georgia or by an insurance company registered by LEPL” insurance state supervision agency of Georgia”. contract performance guarantee shall be irrevocable. Guarantee also can be issued by non-resident bank, in which case the bank rating must be no lower than BB- according to “Fitch international” or of an equivalent rating issued by S&P, Moody’s and it must be confirmed by a licensed bank in Georgia.

7.2. The bank guarantee presented by the supplier shall take be in effect from the date of issuance till 30 days

ბანკის რეიტინგი უნდა იყოს საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს "Fitch International"-ის არანაკლებ BB-, ან სხვა საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს S&P, Moody's ექვივალენტური რეიტინგი და იგი უნდა იყოს დამოწმებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ.

7.2. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია ძალაში უნდა იყოს წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად განსაზღვრული საქონლის სრული მიწოდებიდან დამატებით 30 დღის განმავლობაში.

7.3. შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს 7.1 პუნქტში მისთვის გადაცემული ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია სრულად, იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, ხელშეკრულება შეწყდება მიმწოდებლის ბრალით (მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად) ან ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას.

7.4. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიით განხორციელებული გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობით შემსყიდველისათვის მიყენებული და საგარანტიო თანხით აუნაზღაურებელი ზიანის (ზარალის) ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

7.5. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის მიერ ვერ ესწრება საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიწოდების თარიღამდე, მიმწოდებელი ვალდებულია 5 კალენდარული დღის ვადაში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიას გაუგრძელოს მოქმედების ვადა იმგვარად, რომ დაცული იყოს 7.2. პუნქტში მითითებული დროის პერიოდი.

7.6. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიაში ბენეფიციარად მითითებულ უნდა იქნას შპს „გარდაბნის თბოსადგური“ (შემსყიდველი).

7.7. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენა უნდა მოხდეს შესყიდვის ელექტრონული პროცედურის დოკუმენტაციის დანართი №4 თანდართული ფორმით.

8. გარანტია, პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შემსყიდველისათვის მიწოდებული საქონელი შეესაბამება შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ტექნიკურ მახასიათებლებს, დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნას და არ გააჩნია რაიმე ნაკლი.

8.2. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის მიწოდებულ საქონელზე საგარანტიო ვადა შეადგენს 48 თვეს მიწოდებიდან და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ან 12 თვეს საქონლის დამონტაჟების შემდეგ (რომელი გარემოებაც უფრო ადრე დადგება). საქონლის დამონტაჟების თარიღის დამადასტურებელ მტკიცებულებად ჩაითვლება აღნიშნულთან დაკავშირებით შემსყიდველის მიერ საქონლის დამონტაჟების დროს ცალმხრივად შექმნილი დოკუმენტი.

8.3. საგარანტიო პერიოდში საქონელზე გამოვლენილი დეფექტის ან/და ხარვეზის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში უზრუნველყოს არსებული ხარვეზის ან/და დეფექტის აღმოფხვრა ან დეფექტის მქონე საქონლის შეცვლა.

8.4. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ დაიცავს შემსყიდველს მესამე პირების მხრიდან წამოყენებული ყველა პრეტენზიისაგან, ან/და აუნაზღაურებს შემსყიდველს ყველა სახის ფინანსურ თუ

after the date of final delivery of the goods specified in this Agreement.

7.3. The Purchaser is entitled to use the bank guarantee to specified in paragraph 7.1 in full if the supplier breaches the terms of this Agreement or fails to ensure the proper fulfillment of the obligations under this Agreement as well as when the contract is terminated due to suppliers failure to fulfil undertaken obligations.

7.4. The payment of the bank guarantee provided for the fulfillment of the contract does not relieve the supplier from the obligation to compensate the damages (damages) inflicted to the Purchaser and the guarantee amount.

7.5. If the supplier fails to present the goods to the purchaser before the date provided for by this Agreement, within 5 calendar the supplier is obliged to extend the term of the bank guarantee until the fulfillment of its obligations. the extended warranty shall be issued in accordance with Time period specified in 7.2..

7.6. In the performance bank guarantee, GardabaniTPP LLC shall be indicated as the beneficiary.

7.7. The performance bank guarantee shall be presented in the form attached to the agreement (Annex No.1.1).

8. Guarantee, responsibility and non-fulfillment of the contract terms

8.1. The supplier gives the guarantee that the goods supplied to the purchaser are in line with the technical characteristics specified by the buyer, meet the requirements of the purchaser and have no defect.

8.2. The warranty period for the goods supplied to the purchaser by the supplier is 48 months from the delivery of the goods certified by the handover act or 12 months from the moment of installation whichever occurs first (the date of installation shall be considered the day when the purchaser issues a document stating that the goods were installed).

8.3. In case of defects and / or defects indicated in goods during the warranty, the supplier is obliged to ensure the removal of existing deficiencies and / or defects within the reasonable period determined by the purchaser at his own expense or the replacement of defects.

8.4. The seller guarantees that it will protect the purchaser from all claims made by third parties and / or reimburses any financial or administrative sanction to the procuring entity by a third party and / or state

8.5. Failure to comply with the terms and conditions of the contract by the Parties shall result in their liability in accordance with the procedure established by the Agreement and the applicable legislation.

8.6. The party may request compensation for damages inflicted by the other Party to the failure to fulfill its obligations or by improper performance.

8.7 In case of delay in delivery of the "Goods", the supplier is obliged to pay the Purchaser 0.02% of the value of the undelivered goods each overdue calendar

ადმინისტრაციულ სანქციას, ჯარიმას, რაც მესამე პირების მხრიდან ან/და სახელმწიფოს მხრიდან შეიძლება მიადგეს შემსყიდველს, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, დარღვევის ან არაჯეროვნად შესრულების გამო.

8.5. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და/ან დარღვევა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

8.6. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

8.7. „საქონლის“ მოწოდების დაყოვნების შემთხვევაში „მიმწოდებელი“ ვალდებულია გადაუხადოს „შემსყიდველს“ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე მიუწოდებელი „საქონლის“ ღირებულების 0.02%-ის ოდენობით. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.

8.8. „შემსყიდველის“ მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელს“ უფლება აქვს დააკისროს „შემსყიდველს“ პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე გადაუხდელი თანხის 0.05%-ის ოდენობით.

8.9. თუ ხელშეკრულება შეწყდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შედეგად (მიმწოდებლის მიზეზით/ზრალით), ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის მიმწოდებელს შემსყიდველისათვის მხოლოდ საქონლის ნაწილი ექნება მიწოდებული, შემსყიდველი უფლებამოსილი იქნება დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 10%-ის ოდენობით.

8.10. თუ ხელშეკრულება შეწყდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შედეგად (მიმწოდებლის მიზეზით/ზრალით), ამასთან, ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის მიმწოდებელს შემსყიდველისათვის საქონელი საერთოდ არ ექნება მიწოდებული ან მხოლოდ უმნიშვნელო ოდენობით ექნება მიწოდებული, შემსყიდველი უფლებამოსილი იქნება დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების არაუმეტეს 20%-ის ოდენობით.

8.11. „მიმწოდებლის“ მიერ პირგასამტეხლოს გადახდა, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, არ ათავისუფლებს მას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მოვალეობისაგან.

8.12. შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილი იქნება მიმწოდებელს დააკისროს როგორც 8.7 მუხლით განსაზღვრული პირგასამტეხლო, ასევე, იმავდროულად 8.9. და 8.10. მუხლებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოები.

9. მხარეთა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

9.1. მხარეები არ აგებენ პასუხს ვალდებულებათა სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეებზე და ითვლებიან ფორს მაჟორულ გარემოებებად).

9.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის

day. The purchaser is entitled subtract the penalty during final the amount of the accrued penalty during payment.

8.8. In case of "Purchaser", delays to pay duly the "Supplier" shall be entitled to penalty amount of 0.05% of the unpaid amount each calendar day it is delayed.

8.9. If the contract is terminated due to the supplier's failure to fulfill the obligations undertaken by this contract (for the reason of the supplier / fault), and if at the moment of termination of the contract the supplier has only partially delivered the goods to be purchased, the purchaser shall be entitled to charge the supplier Not more than 10% of the relevant value.

8.10. If the contract is terminated by the supplier as a result of failure or improper performance of contractual obligations (of feeder / fault), In addition, at the time of termination of the contract the supplier has only delivered only a negligible(fraction) of the goods for the Purchaser will be entitled to to charge supplier penalty of not more than 20% of the cost of the contract.

8.11 Payment of a penalty by the "Supplier" shall not exempt him from the duties of performing the obligations under the contract, except in cases envisaged by the Civil Code.

8.12. In case of adequate prerequisites, the purchaser will be entitled to charge the supplier as a penalty under Article 8.7 and at the same time 8.9. And 8.10. Penalties provided by the articles.

9. Dismissal from the responsibility of the Parties

9.1. The Parties shall not be liable for the full or partial failure of the obligations in the event of a Force-Majeure (earthquake, flood, state coup and other circumstances which are not dependent on the parties and are considered as majestic circumstances).

9.2. The Party which has been affected by Force-Majeure shall immediately notify the other Party of the circumstances and the estimated time of its elimination. Otherwise, it will not be exempt from responsibility for complete or partial failure to fulfill the contract terms.

9.3. The facts indicated in the notification shall be confirmed by the competent authority. Confirmation is not required if these facts are known publicly.

9.4. The Parties shall renew their obligations upon the termination of force-majeure circumstances.

10. Conditions of contract inspection

10.1. A procuring entity or a person authorized by him shall be entitled to control and / or test the goods.

10.2. The Supplier fulfilment of contract terms and its annexes are controlled by the Purchasers inspection team.

10.3. The inspection team are in charge of:

10.3.1. Compliance with the requirements of Goods volume, quality and timeframe in accordance with this Agreement.

To conduct appropriate control and supervision for the purpose of determination;

10.3.2. Check the goods before accepting it and refuse to accept it in case of poor quality.

10.3.3. Implementation of other actions for the fulfilment of this Agreement.

შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

9.3. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

9.4. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1. შემსყიდველს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს განახორციელოს საქონლის კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი.

10.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებისა და მისი დანართების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

10.3. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

10.3.1. საქონლის მოცულობის, ხარისხისა და ვადების წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება;

10.3.2. შეამოწმოს საქონელი მის მიღებამდე და უხარისხობის შემთხვევაში უარი თქვას მის მიღებაზე.

10.3.3. წინამდებარე ხელშეკრულების ეფექტური შესრულების მიზნით სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

10.4. ყოველი გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულების მონაწილე არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგად შემსყიდველისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.2.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

11.4. ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა ცვლილება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

12. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს საქონლის საბოლოო მოწოდების თარიღიდან დამატებით 30 დღის განმავლობაში.

12.2. ხელშეკრულების შესაბამისი მუხლები ძალაში რჩება, მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ ამოწურვამდე.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

13.2. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარისათვის წერილობითი

10.4. Reimbursement of expenses related to the elimination of each identified defect by inspection is covered by the supplier.

11. Amendments to the Agreement

11.1. No Contracting Parties shall have the right to change the terms of the contract unilaterally.

11.2. It is inadmissible to make amendments to the contract as a result of which the contract' value increases or worsens the conditions of the contract to the Purchaser except for the cases prescribed by Article 398 of the Civil Code of Georgia.

11.2.1. In case of the conditions provided for in Article 398 of the Civil Code of Georgia, it is inadmissible to increase the total value of the contract by more than 10%.

11.3. Any amendment to the terms of the contract shall be concluded in a written form of an agreement which will be attached to the contract and shall be deemed to be its integral part.

11.4. All amendments to the Agreement shall acquire legal force only from the date of its signature.

12. The entry into force of the contract and the term of validity

12.1. The Agreement shall enter into force on the date of its signature by the Parties and shall be in effect for 30 days after final delivery.

12.2. The relevant articles of the Treaty remain in force until the expiry of the obligations taken by the Parties.

13. Termination of the contract

13.1. Parties may terminate this Agreement at any stage of its operation by mutually agreement.

13.2. Any Party may unilaterally terminate the contract on the basis of a written notification to the other Party if:

(A) Any Party or Party has violated the terms of this Agreement entirely or partially;

B) One of the Contracting Parties systematically violates the terms of this Agreement;

C) in the case envisaged by Article 398 of the CCG.

D) If either parties levied penalties accumulate to 5% of the contract value.

E) If the Supplier fails to rectify/fix the defects within the Purchasers designated time frame

13.3. The purchaser is entitled to terminate this Agreement at any stage of its operation unilaterally. The Agreement shall be terminated in accordance with the period specified in the notification sent by the buyer.

14. dispute resolution, regulatory justice

14.1. Any dispute arising out of the Parties shall be settled by means of mitigation by the Parties.

14.2. In case of failure to reach agreement, all controversial issues are resolved in the England and wales courts.

14.3. The agreement is made according with the legislation of England and Wales and will be interpreted according to the legislation of England and Wales.

15. Final provisions

15.1. The contract is drawn up in two copies in Georgian and English versions, both copies shall have equal legal

შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ:

ა) რომელიმე მხარემ მთლიანად ან ნაწილობრივ დაარღვია ამ ხელშეკრულების პირობა;

ბ) ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე სისტემატიურად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს;

დ) რომელიმე მხარეზე დაკისრებული/დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს;

ე) თუკი მიმწოდებელი შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადებში არ აღმოფხვრის/გამოსწორებს საქონელზე გამოვლენილ ნაკლს;

ვ) სსკ 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

13.3. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულება წყვეტს მოქმედებას შემსყიდველის მიერ გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებული ვადის შესაბამისად.

14. დავების გადაწყვეტა, მარეგულირებელი სამართალი

14.1. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი წყდება ინგლისისა და უელსის სასამართლოში.

14.3. ხელშეკრულება დადებულია ინგლისისა და უელსის კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება ინგლისისა და უელსის კანონმდებლობის მიხედვით.

15. დასკვნითი დებულებები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად. ხელშეკრულების ქართულ და ინგლისურ ვერსიებს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულების ინგლისურ ვერსიას.

15.2. ხელშეკრულების ცალკეული მუხლის და/ან პუნქტის ბათილობა ან ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანართების ნამდვილობაზე.

15.3. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება მხარეთა შორის წარმოებს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

15.4. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

force, in case of discrepancy between Georgian and English version, English version shall prevail.

15.2. The annulment or invalidation of a separate article and / or paragraph of the contract shall not affect the validity of the entire contract or its annexes.

15.3. Any notification pursuant to this Agreement shall be carried out in writing either through written or through e-mail.

15.4. None of the Contracting Parties shall be entitled to delegate fully or partially its rights and obligations under this Agreement to a third party without the written consent of the other party.

16. The requisites and signatures of the parties